№ 62
კვირა, 18 მარტი, 1901 წ.

გაზეთის ფასი:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10—	6	6—
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8—	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

№ 62
კვირა, 18 მარტი, 1901 წ.
რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათს, 24 მარტს, თელავის მაზრის სოფელ ქისტაურში გარდახდილ იქმნება მეორმოცე დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მგოსნის

თავ. რაფიელ ერისთავის

სულის მოსახსენებლად, რასაც განსვენებულის ოჯახობა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ. (ა—უ.—1)

მარიამ ალექსანდრეს ასული ხაბურზანია, ელისაბედ ალექსანდრეს ასული ბარათაშვილისა, სოფიო ალექსანდრეს ასული მაჭავარიანი, ანნა ალექსანდრეს ასული ვართაგავა და ნინო ალექსანდრეს ასული აბდუშელიშვილი, დავით და სვიმონ ნიკოლოზის ძენი აბდუშელიშვილები, ანტონ სტეფანეს ძე ხაბურზანია, გრიგოლ საჩინოს ძე ბარათაშვილი, ზაქარია კონსტანტინეს ძე მაჭავარიანი და იპოლიტე პეტრეს ძე ვართაგავა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას—პირველი მეუღლისას, მეორენი მამისას, მესამენი ძმისას, ხოლო დანარჩენნი სიმამრის

ალექსანდრე ნიკოლოზის ძის აბდუშელიშვილისას

ქ. ქუთაისში, 16 მარტს. პანაშვიდი ყოველ დღე იქმნება გარდახდილი: დილის 12 საათსა და საღამოს 7 საათზედ. (1—ნ.—1)

ბაქოში ქართველთა მიერ შემდგარმა ამხანაგობამ

„ივერიამ“,

რომელსაც საგნად აქვს ნავთის და ყოველ-გვარ მთა-მადნეულობის საქმის წარმოება,—უკვე აიღო იჯარით ნავთიანი მიწა სანავთო აგარაკ „საბუნჩაში“ და ამ მოკლე ხანში აპირებს შეუდგეს ნავთის საწარმოებელ მუშაობას.

ამასთანავე, საქმის გასადიდებლად და მკვიდრ ნიადაგზედ დასამყარებლად, ამხანაგობამ საჭიროდ სცნო—ძირითადი თანხა გაადიდოს და, ამის გამო, გამოსცეს **დამატებითი** პაები, თითო პაი ას (100) მანეთად ღირებული.

გამგენი ამხანაგობისა, ვაუწყებთ რა ზემოხსენებულს, უმორჩილესად ვთხოვთ, ვისაც დამატებითი პაის შეძენა ჰსურს, მოჰმართოს ამხანაგობას შემდეგის ადრესით:

Въ гор. Баку. Князю Іосифу Іюлоновичу Дадіани. Въ контору торгово-промышленнаго товарищества „ИВЕРІЯ“, по Меркурьевской улицѣ, въ домѣ Арафелова.

ამავე ადრესით უნდა გამოიგზავნოს ფული.

გამგენი ამხანაგობისა, სამთო ინჟინერნი:
თ. ა. ი. დადიანი.
თ. დ. გ. ჯორჯაძე.
ბ. გ. ბრაილოვსკი.
(10—ნ.—4)

ქართული თეატრი

კვირას, 18 მარტს, მომღერალ არტისტის

ფილიმონ ქორიძის მიერ გამართულ იქმნება

კონცერტი

მონაწილეობას მიიღებენ: მომღერალი ქალი **ევგ. გ. სარაჯიშვილი**, ფორტე-პიანოზე დამკვრელი ქალი **ექ. გ. სარაჯიშვილი**, მომღერალი არტისტი **ი. ზ. კარბარეთელი**, ახლად **შედგენილი ქორიძის მიერ ქართული ხორო** და თვითონ **ქორიძე**. იმღერებენ ნოტებზე გადაღებულს ქართლ-კახურ, იმერულს, გურულსა და მეგრულს სიმღერებს. კონცერტიდგან შემოსული ფული მოხმარდება ქართულის მუსიკის ბეჭდვისა და ალორძინების საქმეს.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი საღამოს 8 $^1/_2$ საათზე.** (3—უ.—3)

ქართული თეატრი

სამშაბათს, 20 მარტს,

უკანასკნელი გამოსათხოვარი წარმოდგენა ქუთაისის დრამატ. დასის
ნინა ჩხეიძის საბენეფისოდ
წარმოდგენილი იქმნება პირველად ახალი პიესა ვლ. **ალექსი მესხიშვილის**
მონაწილეობით

I

უბედური ნაბიჯი

დრამა 3 მოქ. თარგ. შ. დადიანისა.

II

ბ-ნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი წაიკითხავს რუსულად გოგოლის თხზულებას

შეშლილის წერილები

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 $^1/_2$ საათზე

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т-во Фармацевтовъ—провизору Алхазову.
(100—43—4)

ტელეფონი № 741.

ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ „Фармацевтика“.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის

გამგეობისაგან:

1898 წლის 25 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს იმ დადგენილებისა, რომელიც ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის ყოფილ დამფუძნებელთა მიერ ამ ბანკის დასაარსებლად შეტანილ ფულის უკან დაბრუნებას შეეხება, და აგრეთვე 1900 წლის 8 მაისს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ წესების მე-7 მუხლის ძალით, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის გამგეობა ამითი აცხადებს, რ. მ ის, ვისაც აქვს გადასაცემ წარწერით მიცემული უფლება თავ. ზურაბ ადამის ძის ანდრონიკაშვილის მიერ, ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად ოთხას ორმოც და ათის (450) მანეთის, შეტანილ ფულის უკანვე მიღებისა და ბარათი ხელთ უჭირავს, ვალდებულია ეს ბარათი ბანკს წარმოუდგინოს ექვსის თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვის დღიდგან. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სამუდამოდ დაჰკარგავს ბანკიდგან ფულის მიღების უფლებას იმ ბარათით, და ეს ფული თავ. ანდრონიკაშვილის, ან მისთა მემკვიდრეთა საკუთრებად ჩაითვლება. (3—ნ.—3)

ახალი ამბავი

⁂ რედაქციამ მიიღო ოთხი თუმანი ი. ფანცხავას მიერ ფოთში შეკრებილი თავ. რაფიელ ერისთავის ფონდის გასაძლიერებლად. ამავე ფონდისათვის რედაქციამ სამი მანეთი მიიღო რუსეთიდგან გიორგი ლოლობერიძისაგან.

⁂ დღეს, 18 მარტს, სათავად-აზნაურო თეატრში ბ-ნ ფილიმონ ქორიძის მიერ გამართული იქმნება კონცერტი. მონაწილეობას მიიღებენ მომღერალი ქალი ე. გ. სარაჯიშვი-

---

ფელეტონი

წკიპურტი

საარჩევანო მერცხალნი.—იმერელ-ამერელის ხასიათი და ჩემი სენტენციები.—ორის „ნაფიცის“ ამბავი.—„მამულის გააზნაურება“.—„აბრუნდი“ გაბრუდდა.—დაუმთავრებელი დავა და მისგან გამოწვეული „დაუმთავრებულივე“ აურზაური — „უკადრისობის მოკადრენი“.—„მგლის ქონი“.—კალისტრატიზმის პილპილი.—საარჩევანო მიკრობები.—„აბრამ ჰეშა ისააკ“...—ექვსი მოწამე...—„თექვსმეტის“ წერილი.—საარჩევანო დუღილი.—ფიცი და ბოლო.—კიდევ „ანიჩკა“ და ზესტაფონელ ქალთა აღზრდება.

დადგა 9 მარტი და
ზამთარს წაუხდა აწ ჰირნახული,
ზურმუხტის ტახტზედ დაჯდა ზაფხული,
ველმა ამწვანება დაიწყო, ჰაერი
ლახთა სამო სურნელოვანებამ
ავსო და ყოველმა სულიერმა არსებამ სიცოცხლე, ძარღვთა შინა სისხლის დუღილი იგრძნო. გაზაფხული საქართველოში გახლავთ არჩევანების თვე, ის დრო-ჟამი, როდესაც ქვეყნის საქმის სარგებლობის ნოხ-ხალიჩაზედ ერთი-მეორეს ფეხის წამოკვრას უპირებს და ყველა სცდილობს საზოგადო ქადა ნაზუქს ავისა თუ კარგის სახსარ-საშუალებით ხელი წააპოტინოს.

ტფილისში უკვე გაისმის საარჩევანო პირველ მერცხალთა სტვენა-გალობა. აგერ ქალაქის მოურავმა ევანგულოვმა „თავისი“ გრძელი აზრი შეატყობინა ტფილელებს, აი გაზ. „ახალმა მიმოხილვამ“ ორიოდე წერილი დაჰბეჭდა იმავე მომავალ ხმოსანთა არჩევანების შესახებ, საბჭო საარჩევანო განყოფილებათა დაწესებაშია, ბ-ნი ტფილისის გუბერნატორი გაფაციცებით ადევნებს თვალყურს ამ სამზადისს და სცდილობს, საქად-სანაზუქე ტაბლასთან ადგილი ჯეროვანად გაანაწილოს. ერთის სიტყვით, დადგა ხანა არჩევანებისა, კენჭის ყრისა და ყველაფერი ამოძრავდა.

ასევე ამოძრავდა ყველაფერი ქუთაისშიაც, მაგრამ იქ, როგორც კოლხიდელთ წესია, საარჩევანო შეჭიდებას ამ თავითვე, თუ ასე ითქმის, წინა-ცილაობა მოჰყვა და ამ წინა-ცილაობაში, რაღა თქმა უნდა, ჟინმა ცილის წამებისამ, ტყუილ მითქმა-მოთქმისა და ჭორის გავრცელებისამ და აჩქარებულ აზრთა დასკვნისამაც იჩინა თავი. მოგეხსენებათ, იმერელი კაცი მეტად ფიცხი, მეტად აჩქარებულ ასწრაფებულია და საწყენი ამბავი, მაგალითებრ, იმის ყურთან ჯერ დამთავრებით არ არის მისული, რომ ფიცხელს ფიქრს გულიდგან წყენა ამოაქვს და ამ დრომდე უკვე ყურთან მისულს საწყენს ამბავს მომზადებული და გაალმასებული ენა ჯეროვანისა თუ არა ჯეროვანის პასუხით ეგებება. ტყუილად-კი არ დასცინა ჩვენმა ხმა-ტკბილმა მგოსანმა თავისს ქართლ-კახელ თანამოძმეთა სიდინჯეს: ქართლელს კაცს ფოთში საწყენი სიტყვა უთხრეს და როდესაც პასუხის გაცემა მოინდომა, მატარებელს უკვე ტფილისის სადგურზედ ჩამოერიხრიხებინაო. სამაგიეროდ, იმერელმა ხშირად პასუხის მიცემა მაშინ იცის, როდესაც ჯერ საპასუხო სიტყვაც-კი მოსმენილი არა აქვს ხოლმე. ამ გვარად, უმწვერვალესობა, უკიდურესობა არსად არ ვარგა და, როგორც გადაჭარბებული სიდინჯეა საძრახისი, ისე ზომას-აცილებული სიფიცხეა დასაგმობი.

ერიჰაა, დამავიწყდა, რომ მეფელეტონე ვარ, უბრალო „მეწკიპურტე“ და „დამაკვირდების“ განყოფილებაში გადავტოპე. დავანებოთ ამ სენტენციებს თავი ღ შევუდგეთ დღეს ოდესღაც დაპირებულს და ტფილისის გაზეთების ფურცლებზედ ასე თავ-მოსაწყენად გაჭიანურებულს... წარმოთქმაც მეძნელება... ქუთაისის ნაფიც ვექილთა კვირკველია-ჯაფარიძის საქმეს და ამ საქმისაგან წარმოშობილთა სხვათა საქმეთა.

* *

უნდა მოგახსენოთ, ჩემო გულის-ყურიანო და არა-გულის-ყურიანო მკითხველნო, რომ იმერეთის დედაქალაქში ეს აურზაური პირველ საარჩევანო მერცხლად აფრინეს ჩვენმა ფიცხმა და მკვირცხლმა თანამოძმეებმა და, ამ გვარად, თითქმის შუა ზამთარშივე საგაზაფხულო მზადებას შეუდგნენ.

მაგრამ იქნება არ იცით ამ საქმის ვითარება?..

გიამბობთ ამ ამბავს და დარწმუნდებით, რომ ეს გრძლად ატეხილი აურზაური გართულებულ და დახვლანჯულ-დამრავალნასკვულია საარჩევანო ბრძოლის გავლენით და ყო-

ლისა, ფორტეპიანოს დამკვრელი ქალი ეკ. გ. სარაჯიშვილი, მომღერალი ი. გ. კარგარეთელი, ქართული ხორო და თვით ქორიძე. შეასრულებენ ქართლ-კახურს, იმერულს, გურულს და მეგრულს სიმღერებს. კონცერტიდგან შემოსული ფული მოხმარდება ქართულ სიმღერების ნოტებზედ გადაღებასა და ბეჭდვის საქმეს. იმედია, ჩვენი საზოგადოება დაესწრება ამ საინტერესო კონცერტს და მით ხელს შეუწყობს ქართულ მუსიკას.

⁂ პარასკევს, 16 მარტს, ტფილისის სახაზინო პალატის მმართველი ბ-ნი მიხაილოვი ჩამოვიდა ტფილისში. მმართველს მიეგებნენ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტფილისის სადგურზედ.

⁂ ხუთშაბათს, 22 მარტს, ტფილისის გუბერნატორის კანცელარიაში გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის პ-ნის სვეჩინის თავმჯდომარეობით სხდომა ექმნებათ შინაგან საქმეთა, ფინანსთა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროების უწყებათა წარმომადგენელთ, რომელზედაც მოილაპარაკებენ, თუ თამბაქოს პლანტაციებში მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად რა დროებითი წესები იქმნეს შემოღებული.

⁂ ხვალ, 19 მარტს, ტფილისის საბჭოს მორიგი კრება მოხდება, რომელზედაც განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: 1) დადგენილება ტფილისის ქალაქის გამგეობისა იმის შესახებ, რომ გაიღოს 10,000 მანეთი კავკასიის გამოფენის გასამართავად და 5000 მ. გამოფენაზედ ქ. ტფილისის საკუთარ პავილიონის მოსაწყობად; 2) მოხსენება ქალაქის გამგეობისა ქალაქის ქუჩებიდგან მტვრის გასატანად ურმების მოწყობის შესახებ და სხვანი. სულ საბჭოს განსახილველად აქვს 21 საქმე.

⁂ როგორც შევიტყეთ, სახალხო თეატრში ქართული წარმოდგენები შემდეგს დღეებში იქმნება გამართული: ნაადდგომევს 3 აპრილს — „ფული და ხარისხი“, აზიანისა, 5 აპრილს — საბავშვო დილა იქმნება გამართული და წარმოადგენენ „გამარჯვებულს“, თარგმ. მარიამ დემურიასი, 7 აპრილს — „და-ძმა“, დრამა ვ. გუნიასი.

⁂ ნაძალადევის უბნის მცხოვრებთ უთხოვნიათ ქალაქის გამგეობისათვის შუამდგომლობა აღძრას ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის წინაშე იმის შესახებ, რომ სადგურის ორსავე მხარეს ორი ხიდი იქმნას გაკეთებული, რათა ნაძალადეველთ მოკლე გზით მიმოსვლა შეეძლოთ რკინის გზის სადგურთან.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს შესაძლებელად ვერ უცვნია 15,000 მ. შემწეობა აღმოუჩინოს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების გამოფენის გასამართად; ამ საქმისათვის გადაუდვია ჯერ-ჯერობით მხოლოდ 4,000 მან.

⁂ როგორც მკითხველებმა უწყიან, საქართველოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე საეპარქიო საბჭოს სასარგებლოდ ყოველ წლიურად 6,000 მანეთის გადადების შესახებ. ქალაქის სასწავლებელთა კომისიას ეს შუამდგომლობა არ შეუწყნარებია.

⁂ ქუთაისის ოლქის სასამართლოსთან დაარსებულ იქმნა ნაფიც ვექილთა კომისია. 11 მარტს ქუთაისის ნაფიც ვექილთა კრებას კომისიის თავმჯდომარედ აურჩევია მ. ა. ქიქოძე, თავმჯდომარის ამხანაგად დ. ვ. კვირკველია, წევრებად: დ. ვ. ხელთუფლიშვილი, თავ. მ. გ. ფალავა და ა. ს. საყვარელიძე, და მათ კანდიდატებად: ზ. ქ. მაჭავარიანი და თავ. ა. მ. ქონაქიძე.

⁂ ტფილისის ქალაქის საბჭოს დადგენილება ავჭალის ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებისათვის გადაცემის შესახებ უკვე ძალაში შევიდა. ამის გამო ავჭალის ცხენის რკინის გზის კონცესიონერებს უთხოვნიათ ქალაქის გამგეობისათვის მიეცეთ მათ ამის შესახები ნება-დართული მოწმობა. კონცესიონერებს, საბჭოს დადგენილების თანახმად, ეხლავე შეაქვთ გამგეობაში 50 ათასი მანეთი.

⁂ 15 მარტს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას სხდომა ჰქონდა საზოგადოების ხარჯით არსებულ საბაღოსნო სკოლის მდგომარეობის შესახებ მოსაპარაკებლად. ეს სკოლა, ფულის უქონლობისა გამო, დროებით დაკეტა საზოგადოებამ და სკოლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვაც შესწყვიტა.

⁂ კავკასიის სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის გამგე კომიტეტს უთხოვნია სხვა-და-სხვა სამეცნიერო და სატეხნიკო დაწესებულებისათვის, დაეხმარონ გამოფენის მოწყობის საქმეში: დანიშნონ მედლები და ქების ფურცლები ექსპონენტების დასაჯილდოვებლად; დანიშნონ თავიანთი წარმომადგენელნი; გაავრცელონ გამოფენის შესახებ ცნობები და, საზოგადოდ, ყოველ მხრივ ხელი შეუწყონ გამოფენის განხორციელებას.

⁂ სოჭში უკვე ჩამოსულა სატყეო დეპარტამენტის დირექტორი ფ. პ. ნიკიტინი, რომელსაც მინდობილი აქვს შავი ზღვის პირად მდებარე სახაზინო მიწების კერძო კაცებზედ გადაცემის საქმის მოწყობა.

⁂ შაბათს, 17 მარტს, ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის პირველ დეპარტამენტმა განიხილა, სხვათა შორის, საყურადღებო საქმე ბათუმის ოლქის მცხოვრებთა ასლან-ბეგ-ზადე და სულეიმან-ბეგ აბაშიძეებისა და დურსუნ კობახიძისა, რომელთაც ბრალად ედებოდათ, ვითომც წინასწარ განზრახვით პოლიციის მოხელეებისათვის წინააღმდეგობა აღმოეჩინოთ და ამას გარდა სულეიმან აბაშიძეს პოლიციის მოხელის სანაიას რევოლვერით მოკვლა და პოლიციის ბოქაულის სადაიას სიკვდილი განეზრახოს. ქუთაისის ოლქის სასამართლოს სულეიმანისათვის ყოველისავე ღირსების ჩამორთმევა და 6 წლით კატორღაში გაგზავნა გარდაუწყვეტია, ხოლო ასლან-ბეგი უცვნია დამნაშავედ პოლიციის მოხელის შეურაცხების მიყენებაში და გარდაუწყვეტია თვე-ნახევრით ციხეში დაპატიმრება და კობახიძე-კი გაუმართლებია. სამოსამართლო პალატამ სულეიმანს ექვსი წლისა კატორღაში გაგზავნა 4 წლისად შეუცვალა, ხოლო დანარჩენთა შესახებ ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა.

⁂ ტფილისის საგუბერნიო გამგეობის მრჩეველი ორლოვსკი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან ავადმყოფობის გამო.

⁂ სოფ. ციმითიმთა. (კავკასის მაზრა). წარსულ კვირას ადგილობრივი მცხოვრები ცითიევი ტყეში წავიდა სახედრით შეშის მოსატანად. საბრალო ცითიევი შინ რომ დაბრუნდა, გზაზე ხიდიყუსელმა ახბოლოვმა მაღლა კლდიდგან მოშლილი ხე თურმე გადმოაგდო, რომელიც მოხვდა ცითიევს, გადააგდო ხევში და მოჰკლა. საბრალო ცითიევი წვრილ-შვილი და ძრიელ ხელ-მოკლე კაცი იყო.

ბ-ნ ქორიძის კონცერტი

—

ქართულის მუსიკის მოღვაწეთა შორის ბ. ქორიძეს ვიცნობთ ქართულის ხმისა და ელფერის დამცველად, იმ სიმღერებში მაინც, მას რომ საკუთრივ გადმოუღია. ბ. ფი-

---

ველი ესა თუ ის მოქმედება გაზვიადებულ-გაბერილია იმად-კი არა, რომ ამისი ღირსი იყოს, არამედ იმად, რომ საარჩევანო ვნებათა ღელვა გახდომია მიზეზად.

ამ კვირკველიადასა თუ ჯაფარიძიადას სათავე ანუ სანასკვე, რასაკვირველია, ისევ იქა აქვს, სადაც იწყება ქუთაისის ინტელიგენციის ერთის და, აღვიარებთ, საუკეთესო ნაწილის ბრძოლა კალისტრატიზმსა და ლოლუას ბატონობასთან. უმახლობელესი მისი დასაწყისი ვაჭართა თუმანოვების საქმეა, რომელსაც თავი ჯერ კიდევ 1898 წლის 9 ივლისს გამოჰბმია.

აი, ამ დღეს დაასრულეს თურმე თავისი მოლაპარაკება ვაჭარ თუმანოვებმა და ნაფიცმა ვექილმა დ. ვ. კვირკველიამ. თუმანოვებმა მიანდეს ვექილს კვირკველიას თავისის მამულის მამულის სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკში დაგირავება, 10% სასყიდელი დაუნიშნეს და პირობის წერილიც დასწერეს. ამ მორიგების ერთს ალაგას დამარჩობელი ფონი ის იყო, რომ თუმანოვები არც თავადები არიან, არც აზნაურები და სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკი-კი მხოლოდ თავად-აზნაურთა მამულებს იგირავებს. მაშ რა ჰქმნან?.. რა-და, ვექილი რის ვექილია, თუ, კარგ მეჭურჭლესავით, ყურს იქით არ გამოაბამს ჭურჭელს, საითაც უნდა. ბ-ნმა კვირკველიამაც, როგორც გამოცდილმა და კანონების ბნელსა და ხვეულს გზებში უსანთლოდ მოარულმა ვექილმა, ურჩია: თქვენი მამული 15 ოქტომბრამდე სხვას ვისმე, თავადს, ან აზნაურს, დაუმტკიცეთ, ვითომ-და მიჰყიდეთ, ის მე რწმუნების წერილს მომცემს და მე კიდევ მამულს დავგირავებო...

ამ გვარად, ბ-ნმა კვირკველიამ ძალიან ადვილი საშუალება იპოვნა კუზიანის გასასწორებლად, ანუ თუმანოვების „გასადვარიანინებლად“. ყოველს შემთხვევაში, იგი გაცილებით გონიერად მოიქცა ამ ქუთათელ გმირებთან შედარებით, რომელთაც ყალბი წლოვანების მოწმობანი და საბუთის ქაღალდები შესთხზეს ამ მეოცე საუკუნეში უკვე თავისს უწინდელ დიდ მნიშვნელოვანებას მოკლებულ აზნაურობის ღირსების მოსაპოვებლად. მან ბ-ნნი თუმანოვები ისევ ვაჭრებად დასტოვა და იმათი მამული-კი „გააზნაურა“ და ამ გვარად ღირსება მოუპოვა სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკში შესვლისა. ბ-ნმა თუმანოვებმა, რასაკვირველია, დაუჯერეს „გამოცდილ“ ვექილის რჩევას და თავისი მამული ერთს თავადიშვილს ვითომ და „მიჰყიდეს“ (ამ თავადიშვილის ვინაობა ჯანღითა და ბურუსითაა დაფარული, რადგან, რამდენადაც გვახსოვს, იმისი გვარი აქამდე მრავლად დაბეჭდილს წერილებში ჯერ არავის უხსენებია). „მიჰყიდეს“ და... ბ-ნ კვირკველიასაგან ასე მოხერხებულად გამოკვარახჭინებული კანონის „აბრუნდიც“ თავს გაიტანდა, ერთს ადგილს რომ არ გაბრუდებულიყო.

ამ ჩვენთვის უცნობმა თავადიშვილმა უფულოდ შეძენილ და ნაყიდ მამულის საფულედ გამოყენება მოიწადინა და „მამულის გააზნაურების“ მსურველთ თითებ შუა გოჯის კუდი დაანახვა, ანუ, სადად რომ ვთქვათ, ცრუ ნასყიდობის ქაღალდით მიჩემებულის მამულის ნამდვილად მითვისება მოისურვა. შეუღონდათ გული ბ-ნ თუმანოვებს და, ბ-ნ დ. ვ. კვირკველიას „აბრუნდით“ იმედ-გაცრუებულებმა, მეორე ნაფიც ვექილს ბ-ნს ს. დ. ჯაფარიძეს მიჰმართეს. ბ-ნმა ჯაფარიძემ დავა აუტეხა ბ-ნ თუმანოვების მხრივ სხვისის მამულის „უფულოდ მყიდველს თავადიშვილს“ და ქუთაისის ოლქ-ს სასამართლომ თავისის 1900 წლის 8 დეკემბრის გარდაწყვეტილებით გააუქმა „ყალბი“ ნასყიდობის წერილი და, ჩამოართვა რა მამულს „აზნაურობა“, იგი ისევ ბ-ნ თუმანოვებისად იცნო.

ჯერ-ჯერობით ეს ქსელი ამ ამბისა აქა ჩერდება, რადგან არავინ იცის, „უცნობი თავადიშვილი“ დასჯერდება ამ გარდაწყვეტილებას ქუთაისის ოლქის სასამართლოსას, თუ ტფილისის პალატაში გადმოიტანს საქმეს. ამ გვარად, სასამართლოს საქმე ჯერ დამთავრებულად არ ჩაითვლება და ჩვენც აქ უნდა შევჩერდეთ და ვუამბოთ მკითხველებს, ამ დაუმთავრებელს დავას რა „დაუმთავრებელივე“ აურზაური მოჰყვა ამ დევის ორ გმირ ნაფიც ვექილთა შორის.

* *

ჯერ ის ვთქვათ, საკადრისია თუ არა ბ-ნ კვირკველიას მიერ ჩადენილი „აბრუნდი“ და ყალბის ნასყიდობის სიგელით „მამულის გააზნაურება?“ ამისი პასუხი, რასაკვირველია, ერთია და ეს ერთიც ის არის, რომ, როგორც ყოველივე სიცრუე და სიყალბე, არც ეს არის საკადრისი და ვექილის, ნაფიცისა თუ არა-ნაფიცის, და არა-ვექილის შესაფერისი. მაინც-კი მოსახსენებელია ისიც, რომ ასეთი ამბავი — ყალბად ქონების გარდაცემა არა-ახალია — ძველია და არა-იშვიათი — ხშირია. ტფილისის ვაჭართა ცხოვრებაში თითქმის ყოველ დღე შეხვდებით იმის მაგალითს, რომ მოვალეების შიშით ერთი-მეორეს გადასცემს ხოლმე თავისს ქონებას და სხვის სახელს ქვეშ ამოფარებული თავისუფლად სცხოვრობს. ყოველივე ეს ხდება, რასაკვირველია, ნაფიცთა და უფიცთა ვექილთა რჩევითა და შთაგონებით. ამ სახით, ვექილთა წრე ორ ჯგუფად ჰნაწილდება: იმად, რომელიც ასეთის რჩევის მიცემას ჰკადრულობს, და იმად, რომელიც ასეთს „აბრუნდის“ არა ჰკადრულობს. სასურველია, თქმა არ უნდა, რომ უკადრისობის მოკადრეთა ჰპანებაც არა ყოფილიყო, მაგრამ ასეთნი მრავლად არიან და ქონების გარდაცემ-გარდმოცემის მაგალითიც ყოველ დღე ერთი კი არა, ათასი ჰხდება. ვიმე, ორებთ, ტფილისის ვაჭართა შორის ათში თითქმის ნახევარს დუქანი სხვის სახელობაზედ აქვს გარდაცემული და ეს „ბოროტება“ უკვე ჩვეულებრივ ამბად არის ქცეული.

ბ-ნი კვირკველიაც ერთი „მოკადრეთაგანი“ ჰბრძანებულა და, უეჭველია, ბევრს გლეხ მამულს „გააზნაურებდა“ ამ გვარად თავისის სავექილო მოღვაწეობის განმავლობაში, მაგრამ აქამდე იგი ამისათვის არავის დაუძრახავს, თუმცა, დავძენთ, რასაკვირველია, დასაძრახისია ასეთი საქციელი. არ დაუძრახავთ და არც ეხლა ასტეხდა ეს ამბავი ამდენს ორონტრიალს, კალმების ლესვასა და ტფილისის გაზეთებში ნაბდის გაშლის სიგრძე წერილების ბეჭდვას, „უცნობს თავადიშვილს“ რომ „მადა“ არ აშლოდა სხვისის ქონების მითვისებისა, ან ნაფიცი ვექილი კვირკველია ნაფიცისავე ვექილის ჯაფარიძის „მეგობარი“ რომ ყოფილიყო. მაშინ ბ-ნი ჯაფარიძე დაჰგმობდა თავისს მეგობარს, გაჰკიცხავდა ასეთის „გაუფრთხილებლობისათვის“ და მთელი ეს თუმანოვების „გააზნაურებულ“ მამულის გამო ატეხილი დავა უბრალო სასამართლოს დავად დარჩენილა და საზოგადოების ყურადღებასაც არ მიიქცევდა... მაგრამ...

აი, სწორედ ამ „მაგრამ“-სა აქვს მოსმული მგლის ქონი. ეს მაგრამ ის არის, რომ ბ-ნი კვირკველია უკვე არა ერთ გზის ყბად-აღებულ და აქამდე წყალ-წაუღებელ კალისტრატეს მომხრეა და ბ-ნი ჯაფარიძე-კი... წინააღმდეგი. ხომ მიხვდით?.. ქუთაისში, ადრეც მითქვამს, ქვაბი ისე არ შეიდგმის ცეცხლზედ და საქმელი არ მოიხარშება, თუ კალისტრატიზმის პილპილი არ მოეყარა, და ამ საქმესაც აი, ამ პილპილმა მისცა ასეთი ცხარე გემო. მოგეხსენებათ, ომში ყოველივე საშუალება ხელ-საყრელიაო, ამბობენ, ხოლო ქუთაისშიაც რა-კი ომია კალისტრატიზმსა და ინტელიგენციას შორის და რა-კი ეს ბ-ნნი კვირკველია-ჯაფარიძე მოპირდაპირე მტერთა ბანაკის ჯარის-კაცებს წარმოადგენენ, ამიტომ ბ-ნმა ჯაფარიძემ ეს „გააზნაურებულ მამულის“ საქმე დუშმად მიიჩნია და ბ-ნს კვირკველიას ქამანდად გამოჰკრა ფეხში მისდა წასაქცევად და დასამარცხებლად.

ვიმეორებთ, თუ არ ხსენებული „პილპილი“, ეს ამბავი ჩვეულებრივად ჩაივლიდა, მაგრამ რა-კი ბ-ნი კვირკველია კალისტრატეს რაზმს ეკუთვნის, ბ-ნმა ჯაფარიძემ მის გამო ბუკი და ნაღარა დაჰკრა, გამოაქვეყნა, გამოაგანგაშა და საქართველოს ყოველსა კიდეს მოჰფინა. ერთის სიტყვით, ბ-ნმა ჯაფარიძემ სასამართლოს დავას დასებრივ განწყობილების საფუარი „შეუდედა“ და ეს დავაც გაფუვდა და ისე გაიზარდა, რომ არამც თუ თითონ გახდა კანონიერ შობილად, არამედ სხვა „კანონიერნი ძენიცა“ ჰშვა. მაგრამ ეს

ლიმონე მითაც არის აგრეთვე ცნობილი, რომ უფრო ჰკრებს და ნოტავს სიმღერებს იმ გურიაში, რომლის სამღერალ კილოებს საუპირატესო ადგილი უჭირავსთ საზოგადო ქართულ მუსიკაში თავიანთი სხვა-და-სხვა ფერობითა, სიმკვირცხლით, ხმა-თხზულობით და სხვ. ეს საქმე-კი მას ეხერხება უფრო მიტომ, რომ თვითონ ნამდვილი გურულია და თუმცა დიდხანს იტალიაში უცხოვრია, ვაგლახად, უცხოეთის მუსიკას არ ჩაუთქამს მისი სულიერი თვისებურობა და ღვიძლი კილოს შეთვისების ნიჭი. მისი ცხენოსნური, ხელხვავი, ინდი მანდი და სხვ. ისეთი შედევრებია, რომ კერძო კაცს შეექმნა და არა ხალხსა, კომპოზიტორთა შორის ყოვლად ნიჭიერს უწოდებდნენ. აი ეს გარემოება ხდის სასურველს ბ-ნ ქორიძის კონცერტსა, რომელსაც, როგორც დანამდვილებით ვიცით, მთელი შემოდგომა და ზამთარი ემზადება და უნდა გამართოს კი დღეს, 18 მარტს, ქართველთა სათავად-აზნაურო თეატრში.

პეტრე მირიანაშვილი

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დ. ახალ-სენაკი. ყოველსავე სიბოროტესა და ავკაცობას თავისი კალთა უხვობისა ამ ჩვენს ყოვლად მხრივ უკან ჩამორჩენილს დაბაში დაუბერტყია. ზოგიერთი ადამიანის პატიოსნება და ღირსება იმდენად დაწვრილმან დახურდავდა, რომ რა სიბოროტე გინდათ, მან არ ჩაიდინოს თავისი მოძმის გასწბილებ-დასაჩაგვრელად. აი, მაგ., ავიღოთ თუნდ შემდეგი ნიმუში ზემოხსენებულის ამბის დასამტკიცებლად, რომელმაც მთელი საზოგადოება აალაპარაკა და დაადონ დააძმარა. წარსულ თებერვლის 27-ს, საღამოს რვა საათზედ, ვიღაც თავზედ ხელ-აღებულმა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი კინაღამ ნაცარ-ტუტად აქცია. საქმის გარემოება ასე იყო: ეს ღვთისგან შეჩვენებული სასწავლებლის იატაკს ქვეშ შესულა, თითქმის ერთის ოთახის ნახევარი იატაკი ნავთით დაუსველებია და ცეცხლი მოუკიდებია. ნავთისა და კვამლის სუნი შეამჩნია რამდენიმე მასწავლებელმა და სასწავლებლის მოსამსახურემ, მაშინვე მოირბინეს და ნახეს, რომ ცეცხლი უკვე გაძლიერებულიყო. მადლობა ღმერთს, კიდევ მარჯვედ შეებრძოლნენ და დროზედ ჩააქრეს, თორემ თქვენი მტერია, რამდენიმე წუთიც კიდევ და ეს ვებერთელა შენობა ორის საათის განმავლობაში თავისის მოწყობილობით ულმობელ ცეცხლის მსხვერპლი შეიქმნებოდა. ამასთანავე არ გადარჩებოდა გადაბუგვას ნახევარი სენაკი, მით უმეტეს, რომ ამ საღამოს აღმოსავლეთით ძლიერი ქარი ჰქროდა. ეს ამბავი ფიცხლავ ადგილობრივს პოლიციას აცნობეს, პოლიცია იმ წამსვე მოვიდა, მაგრამ დამნაშავე დღესაც ვერ აღმოუჩენიათ. კარგი იქნებოდა, აქაურს პოლიციას ყოვლგვარი ღონისძიება მიეღო და ადგილობრივ მცხოვრებთა დახმარებით ამ სამწუხარო საქმის ჩამდენი როგორმე უთუოდ აღმოეჩინათ, რადგანაც ცეცხლის გაჩენა აქ ჯერ უმისოდაც ძალიან ხშირი მოვლენაა და ახლა ისიც საზოგადო საქმის სამტროდ, ეს ხომ უბედურობაა... ჯერ ერთი თვეც არ არის, რაც სასწავლებელი ახალს შენობაში გადავიდა და კინაღამ ისევ თავში სცემი არ გაუხადეს სამღვდელოებას, რომელიც ოცის წლის შემდეგ, როგორც იყო, ძლივს ეღირსა სკოლისათვის საკუთარი შენობა მოეპოვებინა...

ვერ იქმნა და ვერა, ამ ჩვენმა უბადლადებულმა და წუდ-წადებულმა დაბამ ქურდებსაც თავი ვერ დააღწია. თუ აქამდის სახლებს სძარცვავდნენ, ახლა შინაურ საქონლის მოპარვასაც მიჰყვეს ხელი. ამ თვის 3-ში ერთს აქაურს მცხოვრებს ბურდღუ ჭანტურიას კლიტით დაკეტილი საჯინიბო გაუტეხეს და ერთი კარგი ცხენი მოჰპარეს. ცხენს ჭანტურია დამ-დამით განგებ რკინის ბორკილს უერიდა ფეხებში, მაგრამ ქურდები ვერც ამან დააბრკოლა და მაინც წაიყვანეს. პატრონი ცხენს თავგადაგლეჯილი დაეძებს, მაგრამ ჯერჯერობით დაკარგულის კვალისათვის ვერსად მიუგნია.

ტელეფონი

ცნობები მეაბრეშუმეობის შესახებ

მარსელი, 6/19 მარტი. მეაბრეშუმეობას მისდევს საფრანგეთის სამხრეთი ნაწილი, მაშინ როდესაც იტალია მთლად საბრეშუმო ქვეყანაა. ამიტომაც, როცა საფრანგეთი, ორთა შუა რიცხვით, 7 მილიონ კილო ნედლს პარკს ამზადებს, იტალიაში ორმოც მილიონამდის პარკი მოდის. იტალიის ქარხნებს ამოდენა პარკი არ ჰყოფნით და სხვა ქვეყნებიდგან მოზიდულს პარკს, უმეტეს ნაწილს, იტალია ასაღებს. ახალმა წელმა იანვარ-თებერვლის განმავლობაში დიდძალი ძაფი გაასაღა. ამ გარემოებამ ძაფის ფასი ორი პროცენტით ასწია. მაგრამ პარკის ფასებს ამან ჯერ ვერაფერი შეატყობინა. ჩვეულებური უპირველესი თეთრი პარკი კილო რვა ფრანკს ზევით არა ფასობს. როგორც მილანიდგან (იტალიიდგან) იწერებიან, ეს იაფობა პარკისა დაეტყოთ მეაბრეშუმეებს. თესლი, შარშანდელთან შედარებით, სულ უკანასკნელი 15 პროცენტით ნაკლები გასაღებულა. ისაც კმარა უკან და ხევადაო, ამბობენ, რომ მოსავალმა არ გვიღალატოს და ჩვეულებრივი მოვიდესო. და თუ, ვინიცობაა, მოსავალი შეფერხდა, ძაფის ქარხნებს პარკი გაუძვირდებათო. იტალიის ქარხნები მთავრობისაგან არაფერს შემწეობას არ იღებენ; სამაგიეროდ, საფრანგეთთან შედარებით, მუშა ხელი 25—30 პროცენტამდის უფრო იაფად უჯდებათ. ამით არის, რომ იტალიის ქარხნები, როგორც თითონვე აღიარებენ, ყოველთვის მოგებულნი არიან და თანდათან მრავლდებიან, მაშინ როდესაც საფრანგეთის ქარხნები მთავრობის შემწეობითაც ძლივს მოდიან თავს, მეტადრე ისეთ ძაფის იაფობის დროს, როგორიც წელს იყო.

ნ. წ.

რუსეთი

ამ ბოლოს დროს უწმ. სინოდის წინაშე ბევრმა აძრა საჩივარი იმის შესახებ, რომ ზოგიერთ მონასტრებში წინამძღვარი და ბერები მეტად უწესოდ და ბოროტად იქცევიან შემოწირულების შეკრების დროს. ზოგან, მაგალითად, მთავრობის ნება-დაურთველად, მცხოვრებთ უგზავნიან დაბეჭდილ ნიხრს იმისას, თუ სულის მოსახსენებლად რამდენი უნდა გადაიხადოს თვითეულმა მონასტრის სასარგებლოდ. ამასთან, ამ გვარად შეკრებილ ფულს ბერები როგორც უნდათ, ისე ხარჯავენ. უწმ. სინოდმა ეხლა ყურადღება მიაქცია ამას და დაავალა სინოდის კანტორებსა და ეპისკოპოსებს თვალ-ყური ადევნონ მონასტრებსა და ბერებს და ნება არ მისცენ შემოწირულებათა უწესოდ და ნება-დაურთველად მოკრებისა.

— ფინანსთა სამინისტროში ლაპარაკია აძრული იმის შესახებ, რომ რუსეთიდგან საზღვარ-გარეთ გასაზიდ ხე ტყეს გადასახადი დაედოს, ამ საგნის განხილვას განსაკუთრებული კომისია აპრილის პირველ რიცხვებიდგან შეუდგება.

— 1901 წელს გიმნაზიებსა, პროგიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში მისაღები, გადასასვლელი და დასამთავრებელი ეგზამენები მოხდება აწ არსებულ წესებით, მხოლოდ მცირე ოდენის ცვლილებით. მაგალითად, საპედაგოგიო საბჭოს ნება აქვს გადაიყვანოს უეგზამენოდ ერთის კლასიდგან მეორე-

---

შემდეგ და ეხლა-კი ისევ ეს ამბავი განვაგრძოთ.

ასეთი განგაში და ბუკ ნაღარა ბ-ნმა კვირკველიამ იუცხოვა და შეეკამათა ბ-ნს ჯაფარიძეს, — ცილსა მწამებ, უბრალო ბრალსა მდებ და ჩემი დამცირება გინდაო. ამ კამათის გამო, როგორც ვუწყით, ქუთაისის ეს ორი ნაფიცი ვექილი ტფილისის გაზეთების: „ახალ მიმოხილვისა“ და „ცნობის ფურცლის“ უსასყიდლო თანამშრომლები შეიქმნენ და ვგონებ სამას სამოც-და-სამი წერილი გამოაცხეს იმის გამოსარკვევად, თუ მათ შორის რომელი სტყუის და რომელმა სასამართლომ უნდა გაარჩიოს იმათი სიმართლ-სიმტყუვნე — ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრთა საზოგადო კრებამ, ქუთაისის ნაფიცთა ვექილთა კრებულმა, თუ მოკამათეთა მიერ ამორჩეულმა მედიატორეებმა. ჩვენ ამის შესახებს დავა-კამათს აღარ გამოვეკიდებით, რადგან „ნაფიცმა“ კვირკველიამ უკვე მიჰმართა ქუთათელ „ნაფიცთა“ საჩივრით, ასეთს სამართალში გაყოლას „ნაფიცი“ ჯაფარიძეც დასთანხმდა და ეხლა ამ კრებულმა უნდა გამოარკვიოს, ვინა სტყუის — ბ-ნი კვირკველია, რომელსაც „მამულის გამააზნაურებელი აბრუნდი“ ედება ბრალად, თუ მისი ბრალმდებელი ბ-ნი ჯაფარიძე, რომელსაც ბ-ნი კვირკველია, თავისის მხრივ, თვის მიმართ არა ღირსეულად მოპყრობის, ცილის-წამებისა და არა-საკადრისად მოქმედების ბრალსა სდებს.

ამ თავითვე, რასაკვირველია, ძნელი გამოსაცნობია, რა განაჩენს დაადგენს „ნაფიცთა“ სასამართლო; ძნელი გამოსაცნობია, რადგან ქუთაისის ჰაერი ისეა ავსებით სავსე, როგორც ყოველთვის, ამ ჟამადაც საარჩევანო ვნებათა ღელვისა და დასობრივ ბრძოლის მიკრობებითა და მიაზმებით, რომ ძნელად თუ „ნაფიცნი“ არ მოიწამლნენ და შეთანხმდნენ როგორმე. უფრო მოსალოდნელია, რომ მათ შორისაც განხეთქილება ჩამოვარდება, დანაწილდებიან, ერთის ჰაი-ჰუის ძახილით გაახიახებენ ამ საქმეს საარჩევანო ციებ-ცხელების დასრულებამდე და მერე-კი მთელი ეს გააქლემებული აურზაური და შეხეთქ-შემოხეთქება... რწყილსა ჰშობს.

აი, ჰნახავთ, თუ მაშინ, როდესაც არჩევანები დაბოლოვდება, მართლა ამ აქლემმა რწყილი არა ჰშობოს, მანამდე-კი შეიძლება გველ-ვეშაპი და ცხრა თავიანი დევიც დაჰბადოს, როგორც უკვე დაჰბადა კიდეც.

* *

„აბრამ ჰშვა ისაკ; ისაკ ჰშვა იაკობ; იაკობ ჰშვა იუდა და ძმანი მისნიო“... ასე იწყებს თავისს სახარებას მახარებელი მათე. ამ საქმეშიაც, როგორც უკვე ჰხედავთ და შემდეგ დაინახავთ, ბ-ნ თუმანოვების მიერ მამულის სათავად-აზნაურო ბანკში დაგირავების სურვილმა ჰშვა „მამულის გააზნაურება“ და ბ-ნ კვირკველიას „აპრუნდი“, ამ „აბრუნდიმ“ „უცნობის თავადიშვილის მადა“ ჰშვა, ამ „მადამ“ სასამართლოს დავა ჰშვა, დავამ, კალისტრატიზმთან შეზელილ-შედღვებილმა და შეუღლებულმა, კვირკველია ჯაფარიძის შეხეთქება ჰშვა და ამ შეხეთქებამ კი ჰშვა თავ. დავ. ნიჟარაძისა, ბ-ნ ს. თ. ხუნდაძისა და სხვათა თექვსმეტთა ძმათა წერილი.

ჩვენ ზემოდ განზრახ დავფარეთ, რომ ბ-ნი კვირკველია კიდევ ერთს ბრალსა სდებს ბ-ნს ჯაფარიძეს: განზრახვა გქონდა თავად-აზნაურთა კრებაზედ ჩემ გამორიცხვის შესახებ ბაასი აღგეძრა და ამ გამორიცხვის სურვილს საბუთად „ისევ იმ“ თუმანოვების მამულის „გააზნაურებას“ უდებდი სათავედაო. ეს ცნობა „მეგობრულ“ წერილით მისწერა თურმე ნაფიც ვექილს კვირკველიას ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თანამდ. აღმასრ. თავ. დავ. ნიჟარაძემ, რომ ბ-ნმა ჯაფარიძემ კრებაზედ მთხოვა, როგორც თავმჯდომარეს კრებისას: ნება მომეცი აღვძრა ლაპარაკი ბ-ნ კვირკველიას თავად-აზნაურთა წრიდგან გარიცხვის შესახებ, რადგან მან უპატიოსნო საქციელი ჩაიდინაო, და მე, ნიჟარაძემ, უარი ვუთხარიო. ეს წერილი „თავისის მეგობრის“ თავ. ნიჟარაძისა ბ-ნმა კვირკველიამ გამოაქვეყნა, ბ-ნმა ჯაფარიძემ კი უარჰყო, — მე-კი არა, თვით თავ. ნიჟარაძე იყო მოწადინებული ბ-ნ კვირკველიას თავად-აზნაურთაგან გარიცხვას, „გულ-მოდგინედაო“ სთხოვდა ყველას ამას, თავისს დახმარებასაც ჰპირდებოდაო და სხვანიო, და გაიმართა ახლა ამის გამო ერთი აურზაური და შეხლა-შემოხლა.

ამ ამბავმა გამოიწვია ბ-ნ ს. თ. ხუნდაძის „ახალ მიმოხილვაში“ დაბეჭდილი წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„...თავ. ნიჟარაძე, როგორც სჩანს მის წერილიდან, ბ. კვირკველიას გამორიცხვის შესახებ კითხვის აღძვრას აკუთვნის სხვებს (მათ შორის ბ. ჯაფარიძეს), თვით-კი არათუ არ სთვლის თავის თავს მონაწილედ, არამედ გვარწმუნებს კიდეც, რომ მან ვითომც ნება არ მისცა ამ კითხვის აღძვრისა. მაშინ, როდესაც კარგად ვიცით, რომ თ. ნიჟარაძეს ყველაზედ უფრო სურდა ნაფ. ვექ. კვირკველიას გამორიცხვა და ტყვილა ივიწყებს მეტად თვალ-საჩინო და საყურადღებო ფაქტს, რომლის დავიწყება ყოვლად შეუძლებელია, ასე, ორის კვირის წინად კრების დაწყებამდე თ. ნიჟარაძემ მიიწვია თავისს სახლში რამდენიმე წევრი თავად-აზნაურთა კრებისა იმ საგნების განსახილველად, რომელნიც მომავალ კრებაზედ უნდა განეხილათ(?). ამ კრებას დაესწრნენ: თ. ს. გ. წერეთელი, თ. მ. გ. ლორთქიფანიძე, თ. კ. ბ. ლორთქიფანიძე, დ. არ. ლორთქიფანიძე, დ. ნ. ბაქრაძე, თ. ს. გ. წულუკიძე, ს. დ. ჯაფარიძე და ამ სტრიქონების დამწერი. როცა საზოგადო საგნებზე მსჯელობა გათავდა და ბ. დ. ბაქრაძე და დ. ლორთქიფანიძე წავიდნენ, თ. ნიჟარაძემ დანარჩენთ შემდეგის სიტყვებით მიჰმართა: „მე მგონია, რომ კრებაზედ უნდა აღსძრათ საქმე კრებიდან დ. ბ. კვირკველიას გამორიცხვის შესახებ; მე თავდები ვარ იმისი, რომ ჩემის (ქუთაისის) მაზრიდან დიდი უმეტესობა კვირკველიას წინააღმდეგი იქნება, და რამდენადაც ვიცი ყველა ბაზრებში უმეტესობა ამომრჩეველთა მისი წინააღმდეგია. მე, როგორც თავმჯდომარე, ვერ აღვძრავ ამ საგანს, მაგრამ აღძვრის შემდეგ ყურს დაუდგამ და იმედი მაქვს კრებაზე შევასრულოთ ეს საქმე“.

როგორ მოგწონს, ჩემი გულ-უბრყვილო მკითხველო, ზემოხსენებულ ამბავთან ეს ზედ შეკეცილი დუხჭირი გარემოება. თავ. დავ. ნიჟარაძე ბ-ნს კვირკველიას ატყობინებს წერილით, ბ-ნმა ჯაფარიძემ შენ შესახებ ესა-და-ეს განიზრახაო, და ბ-ნი ს. თ. ხუნდაძე-კი ჰბრძანებს, რომ იგივ თავადი იყო მოწადინებული ბ-ნ კვირკველიას თავად-აზნაურთა წრიდგან გარიცხვასაო და მოწმებად ასახელებს თ. ს. გ. წერეთელს, თ. მ. გ. ლორთქიფანიძეს, თ. კ. ბ. ლორთქიფანიძეს, თ. ს. გ. წულუკიძეს, ს. დ. ჯაფარიძეს და თავისს თავს!...

თუმცა ამ რვა მოწმეთაგან ორი ადრევე წასულა და ორიც, „თავისი თავი“ და ს. დ. ჯაფარიძე, შეიძლება გადავაყენოთ თუნდა კანონის უწყებულ მუხლის ძალით, ვითარცა ამ საქმეში დაინტერესებულნი, თუმცა თავ. დავ. ნიჟარაძემ გრძელი წერილი დაჰბეჭდა გაზ. „ახალ მიმოხილვაში“ 10 მარტს და სცდილობს დაამტკიცოს, რომ ს. თ. ხუნდაძე სტყუის, იგი ბ-ნ კვირკველიას მტერია, მე კანონით არ შეეძლო გარიცხვის შესახებ აღმეძრა ლაპარაკი, რადგან კრება ამ საგნისათვის არ იყო მოწვეულიო, მაგრამ ყველა ამ წერილების წამკითხველი-კი ადვილად დაასკვნის, რომ აქაც რაღაც საარჩევანო „ხრიკია“ ნახმარი...

ნუ თუ არც ეხლა დამიჯერებ, მკითხველო, რომ მთელი ეს აურზაური საარჩევანო ბრძოლის ნიადაგზედაა ჩათესილ-აღმოცენებული და თუ „მამულის გააზნაურების“ „უბრალო“ საქმეს ასეთი ზარი და ზათქი მიეცა, ეს იმიტომ-რომ ქუთაისს ცოლ-ქმართა ამბორშიაც-კი სადას-დასო ზონარ გრეხილია ჩაქსოვილ-ჩახლართული. რომ ეს ასეა ამას შემდეგი წერილიც ამტკიცებს:

„ტფილისის რუსულ გაზეთ „ახალ მიმოხილვა“-ში დაბეჭდილი იყო წერილი ნაფიცი ვექილის კვირკველიასი, რომელიც ბრალსა სდებს ბ-ნ სერგეი ჯაფარიძეს იმაში, რომ ვითომც ის კვირკველიას აზნაურების წრიდან გამორიცხვის მოთავე ყოფილიყოს და ამ აზრს თანაუგრძნობდა მხოლოდ სამი ან ხუთი კაცი. ჩვენ ქვემორე ამ წერილზე ხელის-მომწერნი წევრნი ქუთაისის გუბერნიის სათავად-აზნაურო კრებისა, ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი — მეზობლები ბ-ნ კვირკველიასი, ზნეობრივ ვალდებულად ვრაცხთ ჩვენს თავს გამოვაცხადოთ, რომ ჩვენ გვინდოდა ნაფიცი ვექილის ბ-ნ კვირკველიას ჩვენი წრიდან გამორიცხვა ზოგიერთი მიზეზებისა გამო, რომელზედაც ჩვენ გვექნება ლაპარაკი კრებაზე. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად თანაგვიგრძნობდა ამ საქმეში სხვა მაზრების თავად-აზნაურობა, ეს გამოჩნდება მომავალ სათავად-აზნაურო კრებებიდან.

ჯამბაკურ გურიელი; თავ. სამოელ გიორგის-ძე მაქსიმენიშვილი, პოდპორუჩიკი კონსტანტინე დუმბაძე, ალექსანდრე გიორგის-ძე ბებურიშვილი, ანტონ ნიკოლოოზის-ძე დუმბაძე, მიხეილ გაბრიელის-ძე იორაშვილი, პრაპორშჩიკი მიხეილ საყვარელის-ძე მახარაძე, პრაპორშჩიკი მიტიფო ალექსანდრეს-ძე ქარცივაძე, ნიკო ყარამანის-ძე თავდგირიძე, პრაპორშჩიკი გოჯასპირ ბე

ში ის მოსწავლენი, რომელთაც წლიური ნიშანი თითო საგანში სამზედ ნაკლები არა აქვთ. ამას გარდა, საჭიროა ოთხზედ ნაკლები არა ჰქონდეთ გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში შემდეგ საგნებიდგან — რუსულსა, ლათინურსა, ბერძნულ ენებსა და მათემატიკაში, ხოლო რეალურ სასწავლებელში — რუსულ ენასა და მათემატიკაში. საპედაგოგიო საბჭოს შეუძლიან ერთის კლასიდგან მეორეში გადაიყვანოს ის მოსწავლეებიც, რომელთაც სამ-სამი ჰქავთ ყველა საგნებში და რომელნიც ეგზამენზედ ვერ გამოცხადდებიან და მოწმობას წარადგენენ საპატიო მიზეზის შესახებ.

— იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს ასულის სახელობის უსინათლოთა სამზრუნველოს საბჭომ დაადგინა მოახდინოს ამ უწყების მოღვაწეთა კრება, უმთავრესად მასწავლებელთა.

— ამ ცოტა ხანში ახალი კანონი იქმნება გამოქვეყნებული. კანონი შეეხება იმ პრემიებს, რომელნიც სოფლის მეურნეთ მიეცემათ ტყის გაშენებისათვის.

— როგორც სენატმა განმარტა, სასულიერო უწყებაში მყოფ საზოგადოებათ, ძმობათ, თავ-შესაფართ და სხვა სასულიერო ზნეობრივ და საქველ-მოქმედო დაწესებულებათ, რომელნიც არსებობენ საეპარქიო მთავრობისა, თუ უწმინდეს სინოდის მიერ დამტკიცებულ წესდების ძალით, შეუძლიანთ თავის სახელზედ შეიძინონ უძრავი მამულები უმაღლესად ნება-დაურთველად.

— სათანადო მთავრობას ლაპარაკი აღუძრავს კადეტთა კორპუსებისა და იუნკერთა სასწავლებლების მოსწავლეთა ცურვის სავალდებულო სწავლის შემოღების შესახებ.

— გზათა სამინისტროს გარდაუწყვეტია სამ წელიწადში ერთხელ რკინის გზების მოსამსახურეთა და მათ ოჯახთა აღწერა მოახდინოს ხოლმე.

დამაფიქრებელი

გაჭირება ყველა მეცნიერებაზე მეტს ჰქმნის.

ვოლტერი

* * *

ისეც საკმაო ბედნიერია იგი, ვისაც მწუხარება არა სწვევია.

ჰორაცი

* * *

შვილდი ძალოვანია, როცა მოჰხრიან.

გრილლ პარცერ

სასამართლოს მატიანე

ბ-ნთ ყავრიშვილისა და გედევანიშვილის საქმე.

ჩვენ უკვე თავის დროზედ გვქონდა აღნიშნული ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის მეორე განყოფილების გარდაწყვეტილება, რომლითაც დამტკიცებულ იქმნა ტფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლეს განაჩენი ტფილისის მცხოვრებს აზნ. კონსტანტინე ყავრიშვილის ერთის თვის ვადით საპყრობილეში დაპატიმრების შესახებ. როგორც მკითხველებსაც ეხსომებათ, ყავრიშვილს მომრიგებელ მოსამართლემ მიუსაჯა დაპატიმრება იმის გამო, რომ მან 1900 წლის 5 ოქტომბერს შეურაცხყოფა მიაყენა სათავად-აზნაურო ქარვასლაში თავად-აზნაურთა მამულის გამგე კომისიის კანტორაში აზ. ზურაბ გედევანიშვილს. ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილებაზედ ყავრიშვილმა საკასაციო საჩივარი შეიტანა ტფილისის სამოსამართლო პალატაში, რომელმაც გააუქმა ტფილისის ოლქის სასამართლოს განაჩენი და დაავალა ხელმეორედ განეხილათ ეს საქმე. ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა ეს საქმე გუშინწინ; დაბარებულ იქმნენ ჩვენების ჩამოსართმევად მოწმენი: გ. ყარანგოზიშვილი, თავ. ქ. ხერხეულიძე, კორინთელი, რომელთაც დაახლოვებით განაცხადეს, რომ ყავრიშვილმა შენიშნა: „ჩვენის თეატრის შეკეთებისა და ელექტრონით განათების მოსაწყობად ამორჩეულ კომისიაში ურევია ერთი ქურდი და მოქრთამე, რომლის ბრალიცაა, რომ ჩვენ ზარალი მოგვივიდა უნიონის საზოგადოებასთან ხელ-შეკრულობის უვარგისობის გამო“, რაზედაც გედევანიშვილმა უპასუხა: ქურდი და მექრთამე შენა ხარ, რომ ჩემი ძმის-წულების მზრუნველობის დროს მათი მამული გააქრეო; შემდეგ იმ ზომამდე მივიდა საქმე, რომ ყავრიშვილმა გაარტყა ყბაში გედევანიშვილს. სასამართლოში საქმის გამოძიების შემდეგ ბრალდებულის ვექილმა ბ-ნმა შანშიევმა ითხოვა ყავრიშვილის გამართლება, რადგანაც აღნიშნულ ჩხუბის დროს ორივეს ერთმანერთისათვის თანაბარი შეურაცხყოფა მიუყენებიათო. თვით გედევანიშვილმა სასამართლოს აუხსნა საქმის ვითარება და ითხოვა დაესაჯა ყავრიშვილი. ოლქის სასამართლომ თათბირის შემდეგ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც განთავისუფლებულ იქმნა სასჯელისაგან ყავრიშვილი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 მარტი.

ბუხარესტი. დეპუტატთა არჩევნები დასრულდა. მესამე ოლქში მხოლოდ ლიბერალები იქმნენ არჩეულნი, მეორეში 68 ლიბერალი და ერთი კონსერვატორი, პირველში 70 ლიბერალი და ხუთი კონსერვატორი.

კონსტანტინოპოლი. როგორც კერძო ცნობები იუწყებიან, სოლუნში უკვე განსჯა იმ 19 ბოლგარელისა, რომელთაც სარევოლიუციო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება ჰბრალდებოდათ, სამისათვის სიკვდილით დასჯა გარდაუწყვეტიათ, შვიდისათვის მთელს სიცოცხლეში საპყრობილეში ყოფნა, ხუთისათვის ხუთის წლით დაპატიმრება და ერთისათვისაც ერთის წლით დაპატიმრება.

პარიჟი. პალატისა და სენატის სხდომები 2 მაისამდე იქმნა გადადებული.

რომი. პალატა, მასციანტონიოს კითხვაზედ გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ტყუილია ის ხმა, ვითომ ტრიპოლის ვილაიეტის გაყოფისა გამო ფრანგ-იტალიელთა ხელშეკრულობა შემდგარიყოსო.

შანხაი. სეიკთა ერთი რაზმი და არტილერია 8 სწრაფ-სასროლ ზარბაზნით მალე ტიანძინში წავა, რომ შანხაი-გუან-პეკინის რკინის გზის მეთვალ-ყურეობაში მონაწილეობა მიიღოს. ცზიცზიანის პროვინციის მოხელეებმა უცხოელთა მხრივ სრულიად ძალადაუტანებლივ უზღეს ის ზარალი ადგილობრივს ქრისტეანებს, რომელთაც მათ არეულობის დროს მიაყენეს. ეს გარემოება დიდად შესანიშნავია იმითი, რომ სახელმწიფოთა მოთხოვნილებაში ადგილობრივ ქრისტეანეთა დაკმაყოფილების შესახებ არა არის-რა ნათქვამი.

პარიჟი. პალატა ასსოციაციების შესახებ მთლად მიიღო პროექტი.

ლონდონი. ლორდთა პალატა 9 აპრილამდე დაიშალა.

ვენა. ბოლგარიის მთავარი ფერდინანდი თავისის მემკვიდრით, ბორისითურთ ვენაში არ დარჩენილა, ისე წავიდა ნიცაში.

კაპშტადტი. ორანჟეს მდინარე ისევ ადიდდა. ბურთა ერთი რაზმი ზურის მთებში გამაგრდა.

იოჰანნესბურგი. გარტბესტფონტენთან 9 მარტს დელარეისთან მომხდარს ბრძოლაში იმპერიის სუბუქი ცხენოსანი ჯარი დიდად დაზარალდა; ბურებსაც დიდი ზარალი მოუვიდათ და მხოლოდ-ღა მაშინ დაიხიეს, როდესაც ინგლისელებს ახალი ჯარი მოეშველა. ინგლისელთაგან მოკლულია ორი ოფიცერი და ხუთი ჯარის-კაცი, დაჭრილია სამი ოფიცერი და ცამეტი ჯარის-კაცი.

რიძე, იოსებ გოგოლიშვილი, ედიშერ თაყაიშვილი, პრაპორშჩიკი კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე თაყაიშვილი, პრაპორშჩიკი ნიკო სიმონის-ძე თაყაიშვილი, სილოვან თომას ძე ხუნდაძე და ერმილე გიორგის-ძე თაყაიშვილი.

ეს წერილი დაბეჭდილია გაზ. „ცნობის ფურცლის“ 24 მარტის №-ში და იშკარასა ჰყოფს, რომ ქუთაისის თავად-აზნაურობის კრებაზედ მართლაც ჩოჩქოლი და მითქმა-მოთქმა ყოფილა ბ-ნ კვირკველიას თავად-აზნაურობიდგან გამორიცხვის შესახებ და ამათ შორის, რაღა თქმა უნდა, ბ-ნი ჯაფარიძეც მონაწილეობას მიიღებდა. მაგრამ იკითხავთ, რა უნდათ ამ „პრაპორშჩიკებს“ და სხვათა, რისთვის აღბორგებულან ასე ბ-ნ კვირკელიას წინააღმდეგ, რად უნდა გამოერიცხათო? „ზოგიერთ მიზეზებისა გამოო“ პასუხს გვაძლევს ამ თექვსმეტის კაცის წერილი, რომელთ შორის, ზემო დასახელებული ბ-ნი ს. თ. ხუნდაძეც ურევია, მაგრამ მე-კი მგონია, — ამ „ზოგიერთ მიზეზების“ უპირველესი მიზეზი ის არის, რომ ბ-ნი კვირკველია უკვე სახელ-მოხვეჭილ კალისტრატეს მომხრეა და უმახლობელესი, ხელზედ დასახვევი-კი — თუმანოვების მამულის გააზნაურება“.

აკი მოგახსენეთ, აქაც იგივე დას-დასობანის ვნებანი აღბორგებულან, თორემ თუ არ ეს, სად იყო აქამდე ის „თექვსმეტის“ მიერ დასახელებული „ზოგიერთი მიზეზები“ და ან რას ჰნიშნავს ის გარემოება, რომ 11 მარტს ქუთაისის ნაფიცმა ვექილებმა იმ კომისიის წევრები ამოირჩიეს, რომელიც ოლქის სასამართლოს უნდა დაეხმაროს „ნაფიც ვექილთა საბჭოს“ მოვალეობის აღსრულებაში, ე. ი. უნდა განიხილოს ვექილების წინააღმდეგ მოსული საჩივრები, დაჰგმოს და გაჰკიცხოს უღირსთა წევრთა საქციელი და სხვანი, და აი, ამ კომისიის თავმჯდომარის ამხანაგის თანამდებობა „ნაფიცებმა“ ბ-ნს დ. ვ. კვირკველიას ჩააბარეს. ფიცი გვწამს და ბოლო გვაკვირვებს, მაგრამ ქუთაისში ეხლა ისეთი საარჩევანო დუღილია, რომ ლამის ადამიანმა ბოლო იწამოს და ფიცი გაიკვიროს!..

ამითი გავათავოთ ეს ცხოვრების ზღვაზედ საარჩევანო დუღილის დროს ამოქაფებულ ამბავი და ვნახოთ, რა გამოვა რისაგან, თუმცა-კი გული არ ითმენს, რომ სასო-წარკვეთილებით არ შევძახოთ:

O tempora! o mores!..

* *

დღეს მინდოდა ჩემის მკითხველებისათვის ჩხარის კატის „სალაღობო“ და „სართეველი“ ამბავი მომეხსენებინა, მაგრამ ეს „კვირკველიადა“ ისე გამიჭიანურდა, რომ იძულებული ვარ დავაწერტილო ჩემი „წკიპურტი“ და... მაგრამ „ანიჩკა“?.. ჩემს ფელეტონებს ისე დაეკვება ეს სახელი, რომ „უანიჩკოდ“ არც ერთი არ იბეჭდება.

საქმე ის არის, რომ წარსულს „წკიპურტში“ *) დაბეჭდილმა „ანიჩკას“ წერილმა ზესტაფონში ყველა „ანიჩკები“ აალელვა და აბორგა. თუ გახსოვთ, მკითხველო; ორი ზესტაფონიდგან მოსული წერილი დავბეჭდე ჩემს წარსულს ფელეტონში — „ზესტაფონელ ქალისა“ და „ანიჩკასი“. „ზესტაფონელი ქალი“ ზესტაფონელ ქალთა ნაკლს ჰფარავდა და ღირსებას აჩენდა, „ანიჩკა“-კი უფრო გულ მართალი აღმოჩნდა, საუცხოვოდ უწკიპარტა ზესტაფონელ მანდილოსანთ და უკიჟინა — ბანქოს თამაშობენ, სცეკვავენ, დახტიან, დასეირნობენ, „ვეჩერებს“ ესწრებიან და ქვეყანა და ქვეყნის საქმე-კი კაბის ქობაზედ ჰკიდიათო.

ასეთი განმაქიქებელი წერილი, რასაკვირველია, არ მოეწონებოდათ ზესტაფონელ თავ-მოყვარე ქალებს და დაუწყეს „ანიჩკა“-ს ძებნა, ხან ერთს „ანიჩკას“ შესწამეს, შენ მიგიწერია „ჩიორასათვის“ წერილიო, და ხან მეორეს. „ანიჩკა“-კი თავს იფარავს, რადგან, თუ გაუგეს, რაღა თქმა უნდა, ცუდს ამბავს დააწევენ. ამას ამტკიცებს შემდეგი „ივერიის“ რედაქციაში მოსული და საპასუხოდ ჩემდა გადმოცემული წერილი:

„ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენს გაზეთში, რომ მე არა ვარ ის „ანიჩკა“, რომლის წერილიც მოთავსებულია „ივერიის“ მე-56 №-ში ზესტაფონიდგან.

ანიჩკა ჩირგაძე“.

დ. ყვირილა.

სიამოვნებით ვუსრულებ თხოვნას ქ-ნს ანიჩკა ჩირგაძეს და ვაცხადებ, რომ ქ-ნი ჩირქაძე არ გახლავთ „ის“ „ანიჩკა“, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, თუ რაც ზესტაფონში „ანიჩკაა“, ყველამ თითო წერილი მოიწერა... ერიჰაა, წრეულს ჩემი ფელეტონები სულ იმათ მოუნდება, მით უმეტეს, რომ, როგორცა სჩანს, ეს სახელი ძალიან გავრცელებული უნდა იყოს ზესტაფონში.

მაინც-კი ვუსურვებ ჩემს გულმართალსა და ენა-მახვილს „ანიჩკას“, რომ ზესტაფონელ გაალმასებულ და გაკაპასებულ არა ანიჩკათა ბრჭყალებს მშვიდობიანად გადარჩენოდეს!..

ჩიორა

---

*) იხ. „ივერია“ № 56.

განცხადებანი

ოთხშაბათს, 21 მარტს, ქართველ თავად-აზნაურთა თეატრში, ჩვენის დროს პირველ **პრესტიდიჟიტატორის, ბერლინის საფიზიკო კაბინეტის წევრის ნ. ა. კოზლოვის** მიერ, რომელსაც ბედნიერება ჰქონდა წარმოდგენა გაემართა დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სასახლეში, გამართულ იქმნება **ანტისპირიტიული, სამედიუმო და პრესტიდიჟიტატორული**

საღამო,

რომლის დროსაც მრავალი რამე იქმნება წარმოდგენილი პარიჟის გამოფენიდგან.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ. ბილეთები კასაში იყიდება.

(2—71—1)

ამა 1901 წლის 21 მარტს, საღამოს 8 საათზედ, **სომხეთა ნერსესიან სასულიერო სემინარიის სამზრუნველოს საბჭოში** მოხდება **საჯარო ვაჭრობა,** რომელზედაც იჯარით გაცემულ იქმნება პირველ აპრილიდგან ოთხის წლის ვადით ხუთი დუქანი, რომლებიც სემინარიას თაქუა პანულოვისამ შესწირა. ეს დუქნები კახეთის მოედნის ჩრდილოეთ-დასავლეთითაა, ლაზარევის ქუჩაზედ, № 12. შემოსავალი წელიწადში 650 მანეთია.

პირობების გასინჯვა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველდღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10-დგან ნაშუადღევის პირველ საათამდე. (2—70—1)

იყიდება ხეხილები

„შრომის“ ამხანაგობისა.

მიხეილის ქუჩა, № 101.

(10—62—5)

ამა 1901 წლის 21 მარტს, საღამოს 8 საათზედ, **სომხეთა ნერსესიან სასულიერო სემინარიის სამზრუნველოს**

საბჭოში

მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც

იჯარით გაიცემა

1901 წლის 1 აპრილიდგან ის სახლის ნახევარი ნაწილი, რომელიც სემინარიას შესწირა თაქუა პანულოვისამ, ხოლო მეორე ნახევარი ეკუთვნის ტფილისის მოქალაქეს მიხეილ პავლეს ძე ივანოვს. ეს სახლი მდებარეობს მე-7 ნაწილში, კახეთის მოედნის დასავლეთით, სირაჯხანის აღმართზედ № 44. ის ნაწილი სახლისა, რომელიც სემინარიას ეკუთვნის, იძლევა წელიწადში 750 მანეთს.

პირობების გასინჯვა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველდღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 10-დგან ნაშუადღევის პირველ საათამდე. (2—70—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17-го Марта 1901 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხ.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.